ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №6
2024 წლის 24 იანვარი

დაბა სტეფანწმინდა

„ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვიმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №23 დადგენილებაში (www matsne. gov.ge, 28.12.2023წ., სარეგ. კოდი: 010250000.35.151.016371) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ დანართი №2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №2

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები

№	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობრივი სარგო	საშტატო ერთეულის რაოდენობა	კოეფიციენტი
1	პირველი რანგი – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი,საკრებულოს აპარატის უფროსი	2660	1	2.0
2	მე-3 რანგის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მაჟორიტარებთან ურთიერთობის საკითხებში	1596	1	1.2
3	მე-3 რანგის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობისა და ორგანიზაციულ საკითხებში	1596	1	1.2
4	მე-3 რანგის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში	1596	1	1.2
	სულ		4	

“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1 თებერვლიდან.

ელგუჯა ღუდუშაური